პიროვნული ნიშნების, როგორც პრედიქტორების მიმართება კონფლიქტების მართვასა და შფოთვასთან

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კურსისათვის “სამაგისტრო სემინარი”

სტუდენტი: თათია რუსიშვილი

ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშავარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია რუსიშვილი 30.05.2025

აბსტრაქტი:

ადამიანები სოციალური არსებები ვართ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ინდივიდები გადაწყვეტილებებს იღებენ მათი პიროვნული ნიშნების გათვალისწინებით. ინდივიდის პიროვნული ნიშნები გვესახებიან კონფლიქტის მართვის სტილების პრედიქტორებად, ორგანიზაციულ გარემოში. პიროვნების კონფლიქტური სტილები კი განსაზღვრავენ კონფლიქტის შედეგებს, რაც უშუალოდ მოქმედებს არა მხოლოდ სოციალური ურთიერთობების ხარისხზე, არამედ პიროვნების შფოთვაზე. მოცემულ ნაშრომში განხილულია, თუ როგორ კორელაციურ მიმართებაშია ერთმანეთთან პიროვნების ნიშნები და შფოთვა და როგორ აიხსნება აღნიშნული კავშირი ორგანიზაციულ გარემოში კონფლიქტის მართვის სტილებით, როგორც მედიატორი ცვლადით. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა 103-მა რესპოდენტმა მიღო, რომელთაგან 55% ქალი გახლდათ და 44% მამაკაცი. რესპოდენტებმა შეავსეს შფოთვის, კონფლიქტის მართვის სტილებისა (დამსაქმებელთან და პოზიციურად თანასწორ კოლეგასთან მიმართებით) და პიროვნული ნიშნების ონლაინ კითხვარები. კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ შფოთვა დადებით კორელაციაშია ნევროტიზმთან, უარყოფით კორელაციაშია კეთილგანწყობასა და კეთილსინდისიერებასთან. კონფლიქტის მართვის კოლაბორაციული სტილი სამუშაო გარემოში უარყოფითად წინასწარმეტყველებს შფოთვას, შეჯრიბრზე ორიენტირებული სტილი კი დადებითად. ნევროტიზმის მქონე ინდივიდები ტენდენციურად უფრო ხშირად მიმართავენ კონკურენტულ მიდგომებს კონფლიქტურ სიტუაციებში პოზიციურად თანასწორ კოლეგებთან ურთიერთობისას. გამოცდილებებისადმი ღიაობა არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვან კორელაციაში არცერთ კონფლიქტის მართვის სტრატეგიასთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პიროვნების ნიშნები, შფოთვა, კონფლიქტის მართვის სტილები, ორგანიზაციული გარემო.

Abstract:

We humans are socially living. In everyday life people make decisions based on their personality traits. Personality traits usually represent the predictors of conflict management styles, in organizational settings. Conflict management styles determine the results of the conflicts, which has a direct influence not only on the quality of social relations but also on anxiety level in individuals. The study discusses how personality traits and anxiety corelate to one another and how is this corr4elation explained with conflict management styles as the mediator variable. There were 103 participants in this study out of which 55% of them were females and 44% males. the participants filled in the online questionnaires of anxiety, conflict management styles (to supervisor and peers) and personality traits. It was found out that anxiety positively correlates neuroticism and negatively correlates to agreeableness and conscientiousness. Collaborative style of conflict management in the organizational setting negatively predicts anxiety and positively predicts the competitive conflict management style. Individuals characterized with neuroticism tend to use competitive conflict management style with peers. Openness is not in a statistically significant correlation with any of the conflict management styles.

Keywords: personality traits, anxiety, conflict management styles, organizational setting.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაწეული დახმარებისთვის მადლობა მინდაგადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ნინო სხირტლაძეს. ასევე მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილეობისთვის თითოეულ რესპოდენტს, რომელიც დამეხმარა შედეგების მიღებაში და დრო დაუთმო კითხვარების შევსებას.